საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №33/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 25 თებერვლის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 აპრილის №33/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე აჭიანურებს საქმის განხილვას და ჯეროვნად არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. კერძოდ, პირველი მოსამზადებელი სხდომა ჩანიშნა ერთი წლის შემდეგ სარჩელის წარმოებაში მიღებიდან, უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ საჩივარი განიხილა 10 თვის შემდეგ, მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარების შესახებ განჩინება 10 თვის შემდეგ მიიღო და საჯარო შეტყობინება არ განათავსა კანონით დადგენილი წესით.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2018 წლის 7 თებერვალს -- -- წარმომადგენელს სასამართლოდან გაეგზავნა უწყება, იმის მიუხედავად, რომ წარმომადგენელს შეწყვეტილი ჰქონდა უფლებამოსილება და აღნიშნულის შესახებ აცნობეს მოსამართლის თანაშემწეს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 23 თებერვალს კომპანია -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხეების - ყოფილი კომპანია -- --, -- --, -- -- (ყოფილი -- --), -- -- მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების, დამატებითი ხელშეკრულების, განკარგულებების, აქციათა გადაცემის შესახებ გარიგების ბათილად ცნობის, აქციათა პაკეტზე საკუთრების უფლების დაბრუნების მოთხოვნით.

2018 წლის 23 თებერვლის განჩინებით კომპანია -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; -- -- აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული -- -- აქციათა --% პაკეტის

გასხვისება და ნებისმიერი სახის ვალდებულებით დატვირთვა; -- -- აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული -- -- აქციათა --% პაკეტის გასხვისება და ნებისმიერი სახის ვალდებულებით დატვირთვა.

2018 წლის 5 მარტს -- -- წარმომადგენელმა საჩივრით მიმართა სასამართლოს 2018 წლის 23 თებერვლის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გაუქმების მოთხოვნით. 2018 წლის 7 მარტს -- -- შესაგებელი წარადგინა სასამართლოში. 2018 წლის 9 მარტის განჩინებით -- -- საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

2018 წლის 9 მარტს -- -- საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2018 წლის 23 თებერვლის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გაუქმების მოთხოვნით. 2018 წლის 12 მარტის განჩინებით -- -- საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული. 2018 წლის 26 მარტის განჩინებით -- -- სარჩელზე შესაგებლის წარსადგენად განსაზღვრული ვადა გაუგრძელდა 7 დღით განჩინების ასლის ჩაბარებიდან.

2018 წლის 29 მარტს მოსარჩელე მხარემ საჯარო შეტყობინების გავრცელების შესახებ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების მოპასუხის -- -- ჩაბარების მიზნით. 2018 წლის 29 მარტს მოსარჩელე მხარემ სასამართლოში წარადგინა მოპასუხეებზე სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარების დასტურები.

2018 წლის 29 მარტის განჩინებით -- -- და -- -- საჩივრები 2018 წლის 23 თებერვლის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში.

2018 წლის 29 მარტს ყოფილმა კომპანია -- -- სასამართლოში წარადგინა შესაგებელი. 2018 წლის 2 აპრილს -- -- შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2018 წლის 2 მაისს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და 2018 წლის 23 თებერვლის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე საჩივრის შემჭიდროვებულ ვადებში განხილვა ითხოვა.

2018 წლის 2 ივლისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახურს დაევალა -- -- სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარება.

2018 წლის 27 სექტემბერს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და 2018 წლის 23 თებერვლის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე საჩივრის და სარჩელის შემჭიდროვებულ ვადებში განხილვა ითხოვა.

2019 წლის 5 თებერვლის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2019 წლის 25 თებერვალს. 2019 წლის 5 თებერვალს სასამართლომ მიიღო განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ. 2019 წლის 25 თებერვალს გაიმართა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა. 2019 წლის 25 თებერვლის განჩინებით კომპანია -- -- სარჩელი დარჩა განუხილველად. 2019 წლის 25 მარტს კომპანია -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და 2019 წლის 25 თებერვლის განჩინების გაუქმება ითხოვა.

2.2. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა და მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- -- სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- 2018 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 91 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დასრულდა - 68 საქმე (74%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 აპრილის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 25 თებერვლის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“

ქვეპუნქტით (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა."

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა" ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria, §50; Bock v. Germany, §35).

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2. მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;

3. საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან, და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა.

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი სასამართლოს წარედგინა 2018 წლის 23 თებერვალს ხოლო მოპასუხეებზე სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარების დასტური სასამართლოს წარედგინა 2018 წლის 29 მარტს. კანონით განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყება კონკრეტული თარიღიდან. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნული საქმე მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა 1 წელი და 1 თვე. ამასთან, საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ მოსამართლემ სარჩელის წარმოებაში მიღებიდან მხოლოდ 10 თვის შემდეგ დანიშნა სასამართლო სხდომა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღეს.

საქმის მასალების მიხედვით, საჩივარი 2019 წლის 12 მარტს იქნა წარმოებაში მიღებული. დადგენილია, რომ მხარემ 2018 წლის 2 მაისს და 27 სექტემბერს მიმართა სასამართლოს წერილობით 2018 წლის 23 თებერვლის განჩინებაზე საჩივრის განხილვის თხოვნით. საჩივრის ავტორის მიერ დანართის სახით წარმოდგენილი ამონაბეჭდით -- -- წარმომადგენლის ელექტრონული ფოსტიდან დასტურდება, რომ 2019 წლის 22 თებერვალს გაეგზავნა მხარეს 2018 წლის 29 მარტის განჩინება, რაც იძლევა გონივრული ეჭვის საფუძველს, რომ საჩივარი დაახლოებით 10 თვის შემდეგ იქნა განხილული.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მიხედვით თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული

მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

2019 წლის 5 თებერვლის განჩინებით საჯარო შეტყობინების განთავსება განხორციელდა იმავე დღეს. უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლოს ვებგვერდზე ან სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებიდან მე-7 დღეს. ბუნებრივია, მოცემულ შემთხვევაში მხარისათვის უწყება ჩაბარებულად ჩაითვლებოდა 2019 წლის 11 თებერვალს. შესაბამისად, საჯარო შეტყობინების თვალსაჩინო ადგილიდან ჩამოხსნის და ვებგვერდიდან ამოშლის შესახებ აქტის მიხედვით განჩინების თვალსაჩინო ადგილიდან ჩამოხსნის თარიღად მითითებულია 2019 წლის 12 თებერვალი, რაც შეესაბამება საჯარო შეტყობინების განთავსების კანონით დადგენილ წესს.

საჩივრის ავტორის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ 2018 წლის 7 თებერვალს -- -- წარმომადგენელს სასამართლოდან გაეგზავნა უწყება, იმის მიუხედავად, რომ შეწყვეტილი ჰქონდა უფლებამოსილება და აღნიშნულის შესახებ აცნობეს მოსამართლის თანაშემწეს, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საქმის მასალების მიხედვითა არის დადგენილი, -- -- უწყება გაეგზავნა 2019 წლის 5 თებერვალს, სასამართლოს 2019 წლის 18 თებერვალს წარდგენილი განცხადებით ეცნობა, რომ ყოფილ კომპანია -- აღარ წარმოადგენდა -- --. საქმეში არსებული მასალებიდან არ დასტურდება უწყების გაგზავნამდე სასამართლოს ინფორმირება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შვიდმა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები, ხოლო შვიდმა წევრმა მიიჩნია, რომ არსებული ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიდა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისათვის საკმარის საფუძველს და მხარი დაუჭირა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას.

ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის და ამავე ორგანული კანონის 75[13] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 (მინიმუმ 10 წევრი) დაუჭერს მხარს, ხოლო ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებასა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხოლოდ შვიდმა წევრმა დაუჭირა

მხარი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №33/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი